# საქართველოს მთავრობის
# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

N 833 2022 წლის 13 მაისი ქ. თბილისი

**მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან თანხის გამოყოფის შესახებ**

„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტისა და „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 6 ივნისის №249 დადგენილებით დამტკიცებული „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის განკარგვის წესის“ მე-2 მუხლის მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტების საფუძველზე, მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის სტიმულირებისა და მაღალმთიან დასახლებებში საჯარო ან კერძო პროექტების განხორციელებისათვის „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან:

ა) საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყოს ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოსათვის არა უმეტეს 5 000 000 (ხუთი მილიონი) ლარის გამოყოფა, საიდანაც:

ა.ა) 1 500 000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარი მიმართული იქნება „აგროდაზღვევის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 აპრილის №236 დადგენილებით დამტკიცებული „აგროდაზღვევის პროგრამის“ განსახორციელებლად;

ა.ბ) 1 500 000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარი მიმართული იქნება „დანერგე მომავალი“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 თებერვლის №56 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის განსახორციელებლად;

ა.გ) 2 000 000 (ორი მილიონი) ლარი მიმართული იქნება „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტისა და გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის №139 განკარგულებით დამტკიცებული „გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის“ განსახორციელებლად;

ბ) არა უმეტეს 15 000 000 (თხუთმეტი მილიონი) ლარი მიიმართოს „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების“ შესაბამისად.

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი ღარიბაშვილი**